შეტყობინება

შპს მისო „რიკო ექსპრესის“ 100 % წილის მფლობელი პარტნიორის - ქ-ნ დალი ურუშაძის(პ/ნ:01008005126) მიერ 2026 წლის 12 ნოემბერს განხორციელდა 2025 წლის 12 სექტემბერს გამოშვებული 10 ობლიგაციის (ISIN GE2700605233) 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ღირებულებით შეძენა.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას და გაცნობებთ, რომ ფასიანი ქაღალდების შეძენა აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 07.10.2020 წლის N180/04 ბრძანებით დამტკიცებული „ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის“ მე-4 მუხლის მოთხოვნებს.

ასევე ვაზუსტებ შეძენის დეტალებს:

- პირის სახელი და გვარი: დალი ურუშაძე;
- შეტყობინების მიზეზი: ზემოთ აღნიშნული ბრძანების მე-9 მუხლის მე-1 პუნქტი;
- ემიტენტის სახელი: შპს მისო „რიკო ექსპრესი“ ს/კ:205034639;
- ფასიანი ქაღალდის აღწერა და მის საიდენტიფიკაციო ნომერი (ISIN): ობლიგაცია, სნ: ISIN GE2700605233;
- გარიგების ტიპი: შეძენა. მითითებული გარიგება არ არის დაკავშირებული ემიტენტის მიერ საკუთარი თანამშრომლებისთვის აქციების განაწილებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან, ასევე არ არის დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული ბრძანების მე-9 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებთან;
- გარიგების ადგილი: თბილისი;
- გარიგების თარიღი: 10 000 000 ლარი - 12.11.2026წ. (განაცხადის გაკეთების თარიღი: 10.11.2026წ.)

- გარიგების ფასი და მოცულობა: 10 ობლიგაცია 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ღირებულებით;